



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

## აბაკელია თამარ გრიგოლის ასული



თ. აბაკელია

აბაკელია თამარ გრიგოლის ასული (19. VIII (1. IX). 1905, ხონი, - 14. V. 1959, თბილისი), მოქანდაკე, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი. საქართვე. ხელოვან. დამს. მოღვაწე (1942).



აბაკელია თამარ. „შურს ვიძიებთ!“. ბრინჯაო.

დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1929), იყო ი. ნიკოლაძისა და ნ. კანდელაკის (ქანდაკება), ე. ლანსერესა და ი. შარლემანის (გრაფიკა) მოწაფე. 1938-იდან იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. იყო „სარმას“ წევრი. ა-ს შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ფორმის უზადო გრძნობა, ძლიერი დინამიკური ნახატი, მაღალი პროფ. ოსტატობა, კომპოზიციის უტყუარი ალღო. ა-ს მნიშვნელოვანი სკულპტურული ნამუშევრებიდან აღსანიშნავია რელიეფური ფრიზი (5 კომპოზიცია): „ბათუმის დემონსტრაცია“, „ოქტომბერი საქართველოში“, „საქართველოს ინდუსტრია“, „სოფლის მეურნეობა საქართველოში“ და „ბედნიერი ცხოვრება“ (ქვა, 1936-37, ყოფ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის საქართვე. ფილიალის შენობის ფასადი, თბილისი). ეს ნამუშევარი 30-იანი წლების საქართველოში მონუმ.-დეკორ. ქანდაკების პირველი მნიშვნელოვანი ნიმუში იყო; მეორე მსოფლიო ომის თემამე შესრულებული კომპოზიცია „შურს ვიძიებთ!“ (1944, ბრინჯაო, საქართვე. ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმი, თბილისი); ლესია უკრაინკას ძეგლი (1952, ბრინჯაო, სურამი) და სხვ. გრაფ. ნამუშევრებიდან აღსანიშნავია „იმერელი ბიჭი“ (1928), „ბრონეულის კრეფა“ (1930), „ბედნიერი ოჯახი“ (1936), „რთველი“ (1946, საქართვე. ხელოვნების მუზეუმი, თბილისი). ა-მ საქართვე. მხატვრებს შორის ერთ-ერთმა პირველმა დაასურათა „ვეფხისტყაოსანი“ (XX ს. 30-იანი წლები, ხელნაწერთა ინ-ტი, თბილისი). მისი დეკორ.-სიბრტყობრივად აგებული კომპოზიციები, რ-ებშიც ყურადღება გამახვილებულია მოცულობითად, სკულპტურულად გადანწყვტილ ფიგურებზე, ეპიკურ-რომანტ. განწყობილებას ქმნის. მასვე ეკუთვნის „დავით სასუნცის“ (1939) და ვაჟა-ფშაველას პოემების (1947, საქართვე. სურათების გალერეა, თბილისი) ილუსტრაციები. გააფორმა სპექტაკლები: ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი“ (1945), კ. კალაძის „ღალი“ (1945, კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრი); კინოფილმები: „არსენა“ (რეჟ. მ. ჭიაურელი, 1937), „გიორგი სააკაძე“ (რეჟ. მ. ჭიაურელი, 1941-42), „დავით გურამიშვილი“ (რეჟ-ები ნ. სანიშვილი, ი. თუმანიშვილი, 1945). მიღებული აქვს სახელმწფ. ჯილდოები.

დაკრძალულია მწერალთა და საბ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: თამარ აბაკელია. ალბომი შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო გ. ჯაფარიძემ, თბ., 1967; ფ ი რ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ო., თამარ აბაკელია, თბ., 1956; შ ა ნ ი ძ ე ლ., ქართული საბჭოთა ქანდაკება, თბ., 1975.